პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №--

--- მარტი 2021 წელი ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, საქართველოს კანონის „გენდერული თანასწორობის შესახებ" მე-13 მუხლის, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის N34 დადგენილების მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის „ე" ქვეპუნქტისა და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 დეკემბრის N77 დადგენილების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა, თანახმად დანართისა.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე სულიკო თებიძე

ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2021-2022 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა

მიზანი	ამოცანა	საქმიანობა	ინდიკატორი	ბიუჯეტი	დაფ. წყარო	პასუხისმგ. უწყება	პარტნიორი	შესრულების ვადა
1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მდგრადი ინსტიტუციური, სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმების შენარჩუნება/განვითარება	1.1.გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება	1.1.1. საბჭოს დებულების, შემადგენლობის, სხდომების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში წარმოება/გამოყენება	1.1.1.ა. არსებული დებულება, წარმომადგენლობითი შემადგენლობა, სხდომების რაოდენობა; 1.1.1.ბ.გადაწყვეტილებები ცვლილებების შესახებ			ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2021-2022 წ.წ. ასეთის შემთხვევაში
		1.1.2. გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედ სამოქალაქო, საერთაშორისო, არასამთავრობო და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა	1.1.2.ა.შეხვედრების ამსახველი მასალები 1.1.2.ბ. შეხვედრებისა და მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა;			ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო	გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედ სამოქალაქო, საერთაშორისო, არასამთავრობო და დონორ ორგანიზაციები	2021-2022 წ.წ.
		1.1.3. საკრებულოს ვებგვერდზე გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობისა და ანალიტიკური მასალების პროაქტიული გამოქვეყნება	1.1.3.ა. ვებგვერდზე საბჭოს საქმიანობის ამსახველი მასალები			ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო, საკრებულოს აპარატი		სისტემატურად

		1.1.4. გენდერული თანასწორობის საბჭოს სამუშაო ჯგუფების ფორმირება	1.1.4.ა. გენდერული თანასწორობის საბჭოს სამუშაო ჯგუფები და გეგმები; 1.1.4.ბ. ანგარიშები, რეკომენდაციები, წინადადებები			ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		საჭიროების მიხედვით
		1.1.5. ბათუმის სერვისცენტრებში გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელ პირთა განსაზღვრა	1.1.5.ა. ბათუმის 14 სერვისცენტრში გენდერულ საკითხებს მიკუთვნებული პასუხისმგებელი პირები 1.1.5.ბ. გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელ პირთა სამუშაო აღწერილობა			ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“, ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2021-2022 წ.წ.
		1.1.6. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს-ებსა და ა(ა)იპ-ებში გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელ პირთა განსაზღვრა აღნიშნული უწყების საქმიანობაში გენდერული თანასწორობის ასპექტების გასათვალისწინებლად	1.1.6.ა. ბრძანება შესაბამისი ფუნქციების შეთავსების შესახებ			ბათუმის მუნიციპალიტეტის დაფუძნებული შპს-ები და ა(ა)იპ-ები, ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2021-2022 წ.წ.

	1.2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ უზრუნველყოფილია გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ქალისა და კაცის თანაბარი მონაწილეობა	1.2.1. გენდერულად მგრძნობიარე საკითხებზე საჯარო განხილვების ჩატარება ქალებისა და კაცების ჩართულობით	1.2.1.ა. შეხვედრებისა და მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში 1.2.1.ბ.მიღებული გადაწყვეტილებები			ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2021-2022 წ.წ.
		1.2.2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში განსხვავებული სქესის წარმომადგენელთა თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფა	1.2.2.ა.საკონკურსო კომისიის წევრებად გენდერზე პასუხისმგებელი პირები 1.2.2.ბ.მუნიციპალიტეტის საბჭოების და სამუშაო ჯგუფების შემადგენლობაში განსხვავებული სქესის თანაბარი წარმომადგენლობა			ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2021- 2022 წ.
	1.3.გენდერული სტატისტიკის დანერგვა	1.3.1. მუნიციპალიტეტის საქმიანობის სფეროებისა და პროგრამების მიხედვით გენდერულ ჭრილში სტატისტიკური ინფორმაციის მოკრების, სისტემატიზაციის, საჯაროობის და გამოყენების ფორმების და მეთოდების შემუშავება	1.3.1.ა. შემუშავებულია სტატისტიკური ინფორმაციის მოკრებისა და განახლების წესი 1.3.1.ა.შემუშავებულია სტატისტიკური ინფორმაციის სისტემატიზაციის წესი 1.3.1.გ.შემუშავებულია სტატისტიკური ინფორმაციის საჯაროობისა და გამოყენების ფორმები და მეთოდები			ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2021-2022 წ. წ.

		1.3.2. გენდერული თანასწორობის შესახებ საინფორმაციო ბაზის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	1.3.2.ა.ინფორმაციის გაცემის წესი			ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2021-2022 წ. წ.
		1.3.3.მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებული სფეროების მიხედვით საჭიროებების გამოვლენისა და გასატარებელი ღონისძიებების ანალიზი მუნიციპალური პროგრამებისთვის	1.3.3.ა.შემუშავებული საინფორმაციო სტრატეგია 1.3.3.ბ. გამოქვეყნებული ანალიზის ანგარიშები და დასკვნები 1.3.3.გ. მუნიციპალურ პროგრამებში ასახული გამოვლენილი საჭიროებები			ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2021-2022 წ.წ.
		1.3.4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მოხელეებისათვის ინფორმაციის მოკრების, სისტემატიზაციის, საჯაროობის ფორმების და მეთოდების, აგრეთვე საინფორმაციო ბაზის ანალიზის საკითხებზე ტრენინგების ჩატარება	1.3.4.ა. ჩატარებული ტრენინგების და ტრენინგში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში	საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის გამოყოფილი თანხა	ადგილობრივი ბიუჯეტი	ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2021-2022 წ.წ.

	1.4.გენდერული აუდიტის დანერგვა	1.4.1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის გენდერული აუდიტის ჩატარება	1.4.1.ა.გამოქვეყნებული გენდერული აუდიტის ანგარიში და რეკომენდაციები 1.4.1.ბ.პოლიტიკის დაგეგმარების დროს გათვალისწინებული გენდერული აუდიტის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები			ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2021-2022 წ.წ.
	1.5. სამართლებრივი აქტების გენდერული ექსპერტიზა	1.5.1.ჩამოყალიბებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და თანამდებობის პირთა სამართლებრივი აქტების გენდერული ექსპერტიზის სისტემა	1.5.1.ა.სამართლებრივი აქტის პროექტების გენდერული თანასწორობის დაცვის კუთხით სავალდებულო ექსპერტიზის გავლის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება 1.5.1.ბ. ექსპერტიზა გავლილი სამართლებრივი აქტების პროექტების რაოდენობა			ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2021-2022 წ.წ.
	1.6. გენდერულ საკითხებზე ქალაქ ბათუმის მუნიციპა-ლიტეტის გადაწყვეტილების მიმღებ პირთა და თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება	1.6.1.ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებისა და საკრებულოს აპარატის გადამზადება გენდერული თანასწორობის საკითხებზე	1.6.1.ა.ჩატარებული ტრენინგების და ტრენინგში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში 1.6.1.ბ. ჩატარებული ტრენინგების თემატიკის რაოდენობა	საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის გამოყოფილი თანხა	ადგილობრივი ბიუჯეტი	ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2021-2022 წ.წ.

		1.6.2.ქალაქ ბათუმის გადაწყვეტილებების მიმღებ პირთა გადამზადება გენდერული მგრძნობიაროობის ასამაღლებლად	1.6.1.ა.ჩატარებული ტრენინგების და ტრენინგში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში					
	1.7.ქალაქ ბათუმის გენდერული თანასწორობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი, შეფასება	1.7.1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი, ანგარიშის მომზადება	1.7.1.ა.მონიტორინგის შედეგები, დასკვნები, ანგარიშები წარდგენილია საკრებულოსთვის 1.7.1.ბ.ჩატარებულია შესრულების ანგარიშის პრეზენტაცია ადგილობრივი ა/ო და დაინტერესებული პირებისათვის			ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2021, დეკემბერი 2022, დეკემბერი

		1.7.2. გრძელვადიანი სტრატეგიის შესაბამისად, მომზადებულია მომდევნო წლების გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმა	1.7.2.ა. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2019-2020 წლების შესრულების ანგარიშის და მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული გრძელვადიანი სტრატეგიის გათვალისწინებით შემუშავებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის 2021-2022 წ.წ. სამოქმედო გეგმა			ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2021 წ.- მარტი
		1.7.3. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად ადგილობრივ ბიუჯეტში შესაბამისი თანხის ასახვა	1.7.3.ა. 2021-22 წლების სამოქმედო გეგმით ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებული ღონისძიებები		ადგილობრივი ბიუჯეტი	ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2021-2022 წ.წ.

2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში თანასწორობის უზრუნველსაყოფად საბიუჯეტო პროცესში გენდერული მეინსტრიმინგის გათვალისწინება	2.1.გენდერული ბიუჯეტის დანერგვა	2.1.1.პრიორიტეტების დოკუმენტში ერთ-ერთ მიმართულებად გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის დამატება	2.1.1.ა. შესაბამისი საბიუჯეტო პროგრამა 2.1.1.ბ. ამ პროგრამასთან არსებული ქვეპროგრამების რაოდენობა 2.1.1.გ. დაფინანსებული ღონისძიებების რაოდენობა		ადგილობრივი ბიუჯეტი	ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2021 – 2022 წ. წ.
		2.1.2. ბიუჯეტის პროექტის მომზადების გამჭვირვალობა და ბიუჯეტის მომზადების პროცესში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა	2.1.2.ა. ჩატარებული ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვები/გამოკითხვები 2.1.2.ბ. ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვების/გამოკითხვების და მათში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში			ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2021-2022 წ.წ.
		2.1.3.ბიუჯეტის პროექტში გენდერული ასპექტების გასათვალისწინებლად სამუშაო ჯგუფის შექმნა	2.1.3.ა. გადაწყვეტილება ჯგუფის შექმნის შესახებ 2.1.3.ბ.ჯგუფის რეკომენდაციები			ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2021-2022 წ.წ.

	2.2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალურ პროგრამათა პრიორიტეტების გენდერული ასპექტის გათვალისწინებით განსაზღვრა	2.2.1. პრიორიტეტების და მუნიციპალური პროგრამების საჭიროებათა კვლევის ჩატარება გენდერული ასპექტების გათვალისწინებით და მოსახლეობის ჩართულობით	2.2.1.ა. ჩატარებული კვლევის ანგარიში 2.2.1.ბ. ჩატარებული შეხვედრების შედეგები 2.2.1.გ.დადგენილი პრიორიტეტები 2.2.1. დ. პრიორიტე-ტები ასახულია მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში		ადგილობრივი ბიუჯეტი	ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2021-2022 წ.წ.
		2.2.3. გენდერული ნიშნით წარმატებული პროგრამების წარმოჩენა	2.2.3.ა. წარმატებული პროგრამების რაოდენობა			ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2021-2022 წ.წ.
		2.2.4. პროგრამებში გენდერული უთანასწორობის აღმოსაფხვრელად რეკომენდაციების შემუშავება	2.2.4.ა. შემუშავებული რეკომენდაციები ხარვეზების აღმოსაფხვრელად			ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2021-2022 წ.წ.
	2.3. გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დასაქმების ხელშემწყობი პროგრამები და ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება	2.3.1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დასაქმების საჭიროებათა კვლევის ჩატარება გენდერულ ჭრილში.	2.3.1.ა. საჭიროებათა კვლევის შედეგები და რეკომენდაციები პრიორიტეტული პროგრამების შესახებ		ადგილობრივი ბიუჯეტი	ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2021-2022 წ.წ.

			2.3.1.ბ. გამოვლენილი პრიორიტეტული პროფესიების ერთიანი საინფორმაციო ბაზა 2.3.1.გ. მიღებული და განხორციელებული შესაბამისი პროგრამები					
		2.3.2.ბიზნეს საქმიანობაში ქალთა მონაწილეობის გასაზრდელად საჭიროებების გამოვლენა	2.3.2.ა.სახელმწიფო პროგრამების შესახებ საინფორმაციო პაკეტის მომზადება 2.3.2.ბ. საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამების შესახებ ინფორმაციის მომზადება 2.3.2.გ. მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნება, საინფორმაციო ბუკლეტის დაბეჭდვა და გავრცელება;		ადგილ ობრივ ბიუჯეტი	ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2021-2022 წ.წ.

		2.3.3.შესაბამისი (საგანმანათლებლო, პრაქტიკული უნარების განვითარების) პროგრამების შემუშავება და განხორციელება	2.3.3.ა. ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა 2.3.3.ბ. შეხვედრებში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში			ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2021-2022 წ.წ.
		2.3.4. ქალთა ეკონომიკური აქტივობის ხელშესაწყობად წარმატებული მეწარმე ქალების შეხვედრების ორგანიზება გამოცდილების გაზიარების და მეწარმეობის განვითარების მიზნით.	2.3.4.ა. ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა 2.3.4.ბ. შეხვედრებში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში			ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		
		2.3.5. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ინსტიტუციური	2.3.5.ა. ადმინისტრაციულ ერთეულებში ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა ლიდერ ქალთა გამოსავლენად			ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2021-2022 წ.წ.

		მექანიზმების შესაქმნელად ლიდერ ქალთა გამოვლენა	2.3.6.ბ. გამოვლენილ ლიდერ ქალთა რაოდენობა					
	2.4. მუნიციპალურ საწარმოებსა და დაწესებულებებში კონტროლის მექანიზმების დახვეწა საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი „საქართველოს შრომის კოდექსით“ დადგენილი ანტიდისკრიმინაციული ნორმების დაცვაზე და შრომის ანაზღაურების სფეროში გენდერული დიფერენციაციის აღმოსაფხვრელად	2.4.1. მუნიციპალურ საწარმოებსა და დაწესებულებებში საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი „საქართველოს შრომის კოდექსით“ გათვალისწინებული სამუშაო პირობების დაცვის ანალიზის ჩატარება გენდერულ ჭრილში	2.4.1ა. სამუშაო პირობების გენდერულ ჭრილში დაცვის ანალიზი და რეკომენდაციები			ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2021-2022 წ.წ.
		2.4.2. მუნიციპალურ საწარმოებსა და დაწესებულებებში შრომის ანაზღაურების მდგომარეობის შესწავლა გენდერულ ჭრილში	2.4.2.ა.მოსამსახურეთა ანაზღაურების გენდერულ ჭრილში ანალიზი და რეკომენდაციები			ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2021-2022 წ.წ.
	2.5. მოწყვლადი და სოციალურად დაუცველი ჯგუფების საზოგადოებაში ინტეგრაციისა და სოციალურად გააქტიურების მიზნით მუნიციპალური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისას გენდერული ასპექტების გათვალისწინება.	2.5.1მოწყვლადი და სოციალურად დაუცველი ჯგუფების, აგრეთვე მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ პირების, ხანდაზმულთა, მარტოხელა მოხუცებულების და შრომით მიგრაციაში მყოფი პირების ოჯახების საჭიროებების შესწავლა გენდერულ ჭრილში	2.5.1.ა. მოწყვლად და სოციალურად დაუცველი ჯგუფების, აგრეთვე მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ პირების, ხანდაზმულთა, მარტოხელა მოხუცებულების და შრომით მიგრაციაში მყოფი პირების ოჯახების წარმომადგენლებთან ჩატარებული			ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2021-2022 წ.წ.

			შეხვედრების რაოდენობა 2.5.1.ბ. შეხვედრებში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში 2.5.1.გ. ჩატარებული საჭიროებათა კვლევის ანგარიში, დასკვნები და რეკომენდაციები					
3. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გენდერული თანასწორობის პრინციპების შესახებ ცნობიერების გაზრდა	3.1. მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობაზე, მის ფორმებზე და სახელმწიფოში არსებულ ეროვნულ რეფერალურ მექანიზმებზე	3.1.1. მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში და ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფა.	3.1.1.ა. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა 3.1.1.ბ. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტისა დმინისტრაციულ ერთეულებში ჩატარებულ შეხვედრებზე მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში			ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2021-2022 წ.წ.
		3.1.2. ქალთა უფლებებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე სკოლის მოსწავლეების, ახალგაზრდების და სკოლის პედაგოგების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით შეხვედრების და დისკუსიების ჩატარება	3.1.2.ა. ჩატარებული შეხვედრ ების რაოდენო ბა 3.1.2.ბ. შეხვედრებზე განხილული საკითხების რაოდენობა და ჩატარების			ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2021-2022 წ.წ.

			სახეები (საინფორმაციო შეხვედრა, საჯარო დისკუსია, ფილმის ჩვენება, ქალთა გაძლიერების წარმატებული მაგალითები) 3.1.2.გ. ჩატარებულ შეხვედრებზე მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში					
		3.1.3. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობაზე საინფორმაციო სტრატეგიის მომზადება.	3.1.3.ა. მიღებული საინფორმაციო სტრატეგიის დოკუმენტი			ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2021-2022 წ. წ.
		3.1.4. სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 – დღიანი კამპანიის ღონისძიებების გეგმის შემუშავება და განხორციელება	3.1.4.ა. გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 – დღიანი კამპანიის ღონისძიებების გეგმის მიღება 3.1.4.ა. კამპანიის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიები		ადგილ ობრივი ბიუჯე ტი	ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2021-2022 წ.წ.
		3.1.5. ქალთა უფლებების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით თემის პოპულარიზაციის მხარდასაჭერად სხვადასხვა კამპანიების ორგანიზება	3.1.5.ა.მუნიციპალი ტეტში ჩატარებული ღონისძიებები 3.1.5.ბ. დაგეგმილი კამპანიების რაოდენობა და მასში მონაწილეთა რაოდენობა			ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2021-2022 წ.წ.

		3.1.6. ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებების და ტელე- რადიო გადაცემებში გენდერული თანასწორობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების უზრუნველყოფა, გენდერულ თემებზე დისკუსიების გამართვა, საინფორმაციო კამპანიების წარმოება	3.1.6.ა.მომზადებულია მასმედიის საშუალებებში სპეციალური რუბრიკა (მინიმუმ თვეში ერთხელ გენდერული თანასწორობის და ქალთა უფლებების შესახებ 3.1.6.ბ. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვებ– გვერდზე განთავსებული ინფორმაცია გენდერული თემატიკის საკითხებზე			ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2021-2022 წ.წ.
		3.1.7. ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებულად დაგეგმილი და განხორციელებულია კულტურულ საგანმანათლებლო ღონისძიებები: გამოფენები, ფილმის ჩვენება და დისკუსია	3.1.7.ა. ჩატარებული ღონისძიებებ ის რაოდენობა 3.1.8.ბ.ღონის ძიებებში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში		ადგილ ობრივი ბიუჯე ტი	ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2021-2022 წ.წ.
		3.1.9. სოციალური მედიასა და საინფორმაციო პორტალებზე გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის და გენდერულ საკითხების გაშუქება.	3.1.9.ა. შექმნილია გენდერული თანასწორობის საბჭოს facebook გვერდი 3.1.9.ბ. facebook გვერდის მომწონებელთა და გამომწერთა რაოდენობა 3.1.9.გ. სოციალურ ქსელებისა და საინფორმაციო პორტალებზე გენდერულ საკითხებზე გაშუქებულ მასალათა რაოდენობა			ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2021-2022 წ.წ.

		3.1.10. მუნიციპალიტეტში დაბადებული და მოღვაწე წარმატებული ქალების ისტორიებისმოძიებ ბა და გაშუქება. ქალაქ ბათუმის ერთ-ერთ ქუჩა/სკვერისთვის წარმატებული ქალის სახელის მინიჭება	3.1.10.ა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებით მუნიციპალიტეტში დაბადებული და მოღვაწე წარმატებული ქალების ისტორიების გაშუქება 3.1.10.ბ. საკრებულოს განკარგულება ქუჩის/სკვერისთვის წარმატებული ქალის სახელის მიენიჭების შესახებ			ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2021-2022 წ.წ.
	3.2. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება	3.2.1. ადრეული ქორწინების პრევენციის ხელშესაწყობი, ასევე ადრეულ ასაკში ქორწინების უარყოფითი მხარეებისა და რეაგირების პროცედურების სავ ალდებულო შესრულების შესახებ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება	3.2.1.ა. ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობა 3.2.1.ბ. შეხვედრებში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში 3.2.1.გ. შეხვედრებზე გამოყენებული მასალები (კინო ჩვენება და დისკუსია) 3.2.1.დ. სამიზნე ჯგუფების რაოდენობა სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლები, მანდატურები, მშობლები, სოციალური მუშაკები, უბნის ინსპექტორები			ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2021-2022 წ.წ.

		3.2.2ქალებზე და გოგონებზე ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის სექსუალური და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის და ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა რისკების პრევენციისათვის ღონისძიებების გატარება	3.2.2.ა. საკონსულტაციო/საინ ფორმაციო შეხვედრების რაოდენობა 5.2.2.ბ. შეხვედრებში მონაწილეთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში და შეხვედრებზე გამოყენებული მასალები (კინო ჩვენება და დისკუსია)			ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2021-2022 წ.წ.
		3.2.3. ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთათვის/ სავარაუდო მსხვერპლთათვის დახმარების პროგრამის შემუშავება	3.2.3.ა. დამტკიცებული დახმარების პროგრამა 3.2.3.ბ. ძალადობის მსხვერპლთათვის დროებითი საცხოვრებლის დაფინანსების მიზნით ბიუჯეტში გამოყოფილი თანხა 3.2.3.გ. მუნიციპალიტე-ტის მიერ სავარაუდო მსხვერპლები-სათვის და მსხვერპლებისათვის გაწეული უფასო იურიდიულ კონსულტაცია და დახმარება		ადგილ ობრივი ბიუჯეტი	ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭო		2021-2022 წ.წ.

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს
2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს 2020-2022 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ბ) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი, არსი:

განკარგულების პროექტით წარმოდგენილი მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმა უკავშირდება გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებას.

გ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

გ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

განკარგულების პროექტის მიღება გამოიწვევს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფის საჭიროებას

გ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

განკარგულების პროექტი გავლენას მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე.

დ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

ე) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია / დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.

ვ) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ნატალია ზოიძე

ზ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ნატალია ზოიძე

თ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ნატალია ზოიძე